წელიწადი მეცხრე. — № 429

პარასკევი, 28 ივნისს 1874

# დროება

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მ. ნ., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ შირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: საჭირო განმარტება — წვრილი ამბები — წერილი ...ელთან — „დროების“ კორრესპონდენცია: ფოთიდგან — ქუთაისიდგან — რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები — ფინლანდია — უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი — ესპანია — განთავისუფლებული როშფორი — პატარა არეულება ნ ა რ ე ვ ი. — განცხადებანი.

ფ ე ლ ტ ო ნ ი: საანდაზო, W-ისა — გულის ნასიტყვი, ვ. ჩოლოყაშვილისა.

# საქართველო

## საჭირო განმარტება

ხშირად ლაპარაკიც საავუგო საქმეა, ხშირად გაჩუმებაც დანაშაულობაა. ჩვენ ეხლა ამ უკანასკნელ მდგომარეობაში ვართ.

სანამდის სამდურავი შეეხებოდა ჩვენს პირადობას, სანამდის ეს არ გამოთქმულა ლიტერატურული გზით, სანამდის მოწინააღმდეგენი ფარდის ქვეშ არიან მიმალულნი, რასაკვირველია პასუხის მიცემაც უკადრისი საქმე იქნებოდა ჩვენგან.

მაგრამ როდესაც გვესმის ისეთი რამეების გადასხვაფერება, გაუგებლობა, საყვედური, რომელიც არაფრისზედ ნაკლებათ არ მიგვაჩნია, რომლის ფასი ერთობ კარგათ ვიცით — მაშინ გაჩუმება და სრულიად უყურადღებოთ დატევება შეუძლებელია. დღეს უპასუხებთ იმათ, ვისაც შეუდგენია აზრი, ვითომ ჩვენ, ძველს ცხოვრებას არაფერთარს პატივს არ ვსცემდეთ, ვითომ ყველაფერი, რაც კი ძველია, სამასხროდ და საწყენელად მიგვაჩნდეს; ვითომ ჩვენ სრულიად უარს ვჰყოფდეთ ყველაფერს, რაც კი ჩვენამდის ყოფილა. ძველი კაცი, ძველი ჩვეულება, ძველი ხასიათი, უკეთა ვსთქვათ: მთელი ძველი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება, თითქოს დევნული იყოს ჩვენგან. — ეს, ან საზარელი ცილის წამება არის, ან სრული გაუგებლობა ჩვენის სიტყვისა.

ჩვენ არასოდეს ე რ თ ო ბ ი თ, განურჩეველად არ გვიგინებია არც ძველი კაცები, არც ძველი სიცოცხლე, როგორც არ გვიქია ყველაფერი, რაც კი ახალი და ნორჩია.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ყოველს პერიოდში ბევრი რამ მოსაწონი და ბევრი ვინმე პატივსაცემელი ჰყოფილა. ეს საზოგადო კანონია ხალხთა ცხოვრებაში, და არ ვფიქრობთ, ამის წინააღმდეგი რამე ჩვენგან წარმოთქმული მოგვინახოს ვინმემ.

შესაძლებელი არის განა, რომ ღრმა სიყვარულით და სასოებით არ მოვიხსენოთ ნიადაგ ის ძველი ქართველობა, რომელიც რაინდულათ სწირავდა თავის სამშობლოსათვის: ყოფა-ცხოვრებას, ცოლს, შვილს და თავის თავსაც! ამნაირი შთამომავლობა იყო, რომ გაამაგრა საქართველოს ერის თავისუფლება ორიათასს წელს! ეს ძველი ქართველი იყო, რომ ნიადაგ ბრძოლაში და გაჭირვებაში ატარებდა დროს!

ხშირად მას, მართალია, თავის მსხვერპლისთვის ჯილდოც ერგებოდა, — დიდება და სახელი, მოკრძალება და შიში მტრისგან. მაგრამ ეს ბედნიერი წამი დიდს ხანს როდი გასწევდა! მეორე, ან მესამე თაობა ხელახლავ წინანდელს დაუცხრომელს ბრძოლასა და ომს ემთხვეოდა უძლიერეს მტრებთან. ხელახლავ იწყებოდა ჯვარცმული საქართველოსთვის, ამ სამაგალითო ისტორიული ხალხისთვის, ახალი ტანჯვა, ახალი აოხრება, და განადგურება! მაგრამ ჩვენი სამშობლო აღჭურვილი კეთილშობილი გრძნობებით: თავისუფლების და სახელის სიყვარულით, არასოდეს არ ეცემოდა სულით. ამ ერთ, მუქა ხალხს ურიცხვთა ბარბაროსთა შორის ოცს საუკუნეს ეჭირა ხელში უმაღლესი ზნეობის და ჭეშმარიტების ლამპარი. ეს პატარა ქვეყანა ერთხელ პატიოსნების, კეთილშობილური თავშეწირულების და სამართლიანობის საუნჯე ჰყოფილა. მისთვის, ვისაც შეუძლია გადაჰფრინდეს გონებით წარსულს ჩვენს ცხოვრებაში, საქართველოს რაინდული სიცოცხლე მშვენიერს, სხივით სავსე სურათს წარმოუდგენს. ასეთი ყოფილა ძველათ ქართველიც და საქართველოც! ამისი უარის ყოფა, ამისი მუხლ მოუდრეკელ შეხედვა განა საშინელი დანაშაულობა არ იქნებოდა ყველასაგან! და წარმოსადგენია განა, რომ ჩვენ, შეგვეგინებინოს ამ ნაირი პირნი?

მაგრამ იმაზედ რომ გული გვტკიოდეს, ზიზღით რომ ვიგონებდეთ და შთამომავლობის წყევას მივსცეთ ის კაცები, რომელნიც საქართველოს დაარსებიდგანვე ყოველთვის სცდილობდნენ სასყიდლის, ან სხვა ანგარიშის გულისათვის საქართველოს ძარის გათხრას, მის გაოხრებას და დამცირებას — ეს ვისგან რა საწყენია?

ამ გვსლიანს, ამ ქართველის ტომის სიწმინდის შემბღალველს კაცებს ჩვენგან მარტო კი არ დაესმევა შუბლზედ შეჩვენების დაღი!

ვიმეორებთ: ჩვენ ვებრძვით ცუდი აზრის და ზნეობის წარმომადგენელებს, მათგან დათესილს ჩვეულებას და გავლენას. ჩვენთვის თანასწორია, ძველი თაობის კაცი იქნება საქართველოს ბედნიერების ხელის შემშლელი, თუ ახალისა. ჩვენ ორივეს შეურიგებელ მტრათა ვსთვლით და არც ერთს იმათგანს შებრალება არ უნდა ეღირსოს!...

მეველე.

---

## წვრილი ამბები

— ამბობენ, რომ იმერეთში წრეევანდელმა ზამთარმა ძალიან კარგი გავლენა იქონიაო ვენახებზედ, ასე რომ ყურძენს ნაცარი აღარ ეტყობა და ყველას კარგი მოსავალის იმედი აქვსო.

— გვითხრეს აგრეთვე, რომ მთელს იმერეთსა და სამეგრელოში კარგი აბრეშუმობა იყოო.

— ფოთი-თფილისის რკინის გზის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ 15 ივნისიდგან ფოთის ქალაქსა და რკინის გზის სტანციას შუა ხელახლა იქნის ცეცხლის გემი მგზავრებისა და მათი ბარგის გადასატან-გადმოსატანად.

— დაიბეჭდა კავკასიის არქეოგრაფიული კომმისიისაგან შეკრებილი აქტების მეექვსე ტომი, პირველი ნაწილი. წიგნშია ერმოლოვისა და თეოფილაქტეს სურათები.

— „კავკაზის“ № 72 დაბეჭდილია თიონეთის მცხოვრებელ-შემნახველი ამხანაგობის წესდება, რომელსაც მკითხველები ნახვენ

---

# ფელტონი

## საანდაზო

ბრიყვის სიცოცხლეს რაღა სჯობია: ის თავის ტოლშიაც გახარებულია და არც ჭკვიანი ემტერება.

—

სიბრიყვეს თავისი გამოსადეგი მხარე აქვს: დიდ კაცებსაც უყვარს და ქალებსაც.

—

სითამამე კარგიც არის და ცუდიც: კარგი ქალთან — ცუდი ცეცხლთან.

—

მღვდელი მცხონებელიც არის და წამწყმედელიც: მცხონებელი, როდესაც უთვალ-ტანადოა, წამწყმედელი, როდესაც ლამაზია.

—

სატრფო კრიპუჭია, საყვარელი — თაფლი, ცოლი კი — თაფლის სანთელი.

—

ფეთიან ცოლს, ისევ ფეთიანი ცხენი სჯობია.

—

კაცი რომ გამხდალდება — ეს იმის დაღუპვის წინა-მორბედია, და როცა ადვოკატი გაბედულებას დაკარგავს ეს გაპატიოსნების ნიშანია.

—

საწამლავეთ იხმარე: ქალის გული, ადვოკატის ენა, უფროსის ღიმილი.

—

თუ კაცის მომდურება გინდა, ფული ასესხე. თუ მომადლიერება, მის ცოლს გაუარშიყდი.

—

ანტონ ფურცელაძე რომ ინგლისელი ჰყოფილიყო, შექსპირს ემჯობინებოდა და შექსპირი რომ ქართველი ყოფილიყო, ანტონზედ უარესი იქნებოდა.

—

საქართველოში იმიტომ არის ცუდი მოსავალი მწერლებზედ, რომ ცვარი არ იცის.

—

სულელი კაცი თუ არ აქეთ, ულმერთობას შეგწამებს.

—

„ოდეს ტურფა გაიაფდესო“ რომ იტყვიან, ამას თუ ავყევით, ბევრს რასმეს ფასი აღარ ექნება.

—

ადვოკატს გამოსაკვებათ შფოთი სჭირია, ექიმს — ავადმყოფი.

—

სისულელეს მახვილობა სჭირია — მახვილობასა კი სისულელე არა.

—

ზოგი პატიოსნებაზედ არის წუწკი, ზოგი ფულზედ, ზოგი ჭკუაზედ. რომ ამათი ხიმიკური შეერთება მოვახდინოთ გამოვა: ადვოკატ-ვაჭარ-მხედარი.

—

მცირე კაცის სიბრიყვე სასაცილოა, საშუალის, — ასატანი, დიდის — მოსაწონი.

—

მაღალს ცოლს დაბალი ქმრის სიყვარული არ შეუძლია, სულელს უფროსს — ჭკვიანი ქვეშევრდომისა.

—

W.

---

## გულის ნასიტყვი.

რაც ჯანაბეთში გაზეთები გამოდის, ყველას ერთნაირი სახელი დაერქვა: „Все благополучно.“ ეს იმიტომ, რომ ხალხის მდგომარეობას, მათს სისაწყლეს და გაჭირვებას როდი სწერენ, — სულ ამას იძახიან, რომ ჩვენს ჯანაბეთის სახელმწიფოში მშვიდობაა, არავის არა უჭირს რაო.

×

გუშინ-ღამ, სიზმარში ჩემმა ამხანაგთაგანმა ერთი კარგი ამბავი მითხრა. რაც ამ წელიწადში ყმაწვილი ქალები სასწავლებლებს გაათავებს, სულ სოფლებში მასწავლებლად უნდა წავიდნენო. რომ გამომეღვიძა, ეს სიზმარი ამავე ჩემს ამხანაგს მოვახსენე, და ასე მითხრა: „მე რომ ის მეთქვა შენთვის, რაც ყმაწვილი ქალები სასწავლებელს გაათავებს, ყველა ჩინოვნიკებს ცოლებათ უნდა გაჰყვეს, — მაშინ აგისრულდებოდა ეგ სიზმარიო.“

×

ჯანაბეთში, რომ იმისთანა განგებულება მოვიდეს ღვთისაგან, რაც უქმი-მჭამელები კაცებია სულ ამოჟლიტეთო, მაშინ (მომეშველეთ, ვინც რამდენი არამზადები იცოდეთ) დაიხოცებოდა... ამდენი და ამდენი, დარჩებოდა კეთილი ხალხი ამდენი და ამდენი. სტატისტიკის საქმე უნდა იყოს ამის ანგარიში, თუ ვისი ნეტავ?

×

ქუთაისში წვიმებმა თავი მოგვაბეზრეს; თითქო შხამი რამე გადაგვესხმოდეს და ბუნებას ქუთაისისთვის თანა ეგრძნოს: მო ერთი გავსწმინდო გესლისა და სხვისაგან. თუ კიდევ ცოტა ხანს იწვიმა, ერთს ქუჩაში შავი მყრალი ტალახია და იმას რიონს მისცემს. გავიწმინდებით, მაშ რა დაგვემართება.

×

ბლეხ კაცებს არ აძლევენ მოსვენებას:

„დროების“ რომელიმე შემდეგ ნომერში, თუ სულ არა, შემოკლებით მაინც.

---

— იბეჭდება იაკ. გოგებაშვილისაგან შედგენილი საყმაწვილო წიგნი, რომელიც შეიცავს მოკლე სტატიებს ბუნების მეცნიერებიდგან.

---

## უპატივცემულესო ...ელ!

---

ბედმა განსხვავებული მდგომარეობა გახვედრა თქვენ. მოსალოდებელი იყო, რომ თქვენი სწავლის და ვრცელი ასპარეზის მქონ კაცს დიდი და კეთილი გავლენა ექნებოდა ხალხზედ. საზოგადოება გულის ძგერით უცქეროდა პირველს თქვენს ნაბიჯებს. ის სასოებდა, რომ თქვენ დაეხმარებოდით იმას თავის საჭიროების დასაკმაყოფილებელად, აუხსნიდით მისს ნამდვილს მდგომარეობას, აჩვენებდით მიზეზს ეხლანდელი დაბნეული და უნორმალო ცხოვრებისას და მისცემდით სანუკვეშო გამოსავალს, საშველს — მომავლისათვის.

მეეყანას უფლებაც ქონდა ამ ნაირი იმედისა თქვენზედ: ერთი იმ გარემოების მიზეზით, რომელშიაც იყავით თქვენ, და მეორე იმ საფუძვლით, რომ საქართველოს მიწის-შვილს განსხვავებულად უნდა გეგრძნოთ თქვენთ თანა-მემამულეთა დაცემული მდგომარეობა.

თქვენ უნდა გაგეგოთ, რომ ჩვენს ხალხში მეტი ლმობიერება, სათნოება, საზოგადობრივი ხასიათი, უბრალოება იყო საჭირო. უნდა მიმხვდარ-იყავით, რომ თუ თქვენს თავს განცალკევებულად დაიჭერდით, არ შეხვიდოდით ქვეყნის გულის ტკივილის დალტოლვილების განრჩევაში — მაშინ არავითარი გავლენა არ გექნებოდათ. თქვენ უნდა მოგვგონებოდათ, რომ ექიმისთვისაც, რომელიც მხოლოდ სხეულის მკურნალია — იმისთვისაც კი არის საჭირო სათნოება, საზოგადოებრივი თვისებები, თორემ თქვენ, რომელსაც განსაკუთრებით ხალხის ზნეობითს მხარეზედ, მის სულზედ და ტვინზედ უნდა გემოქმედათ, როგორ შეგეძლოთ მარტო მშრალი მუსაიფით მოგებიათ ქვეყნის სიყვარული, ხალხის ნდობა!

თქვენ მშვენიერი და წმინდა მოვალეობა მოგანიჭათ ბედნიერმა შემთხვევამ — აღგემაღლებიათ თქვენი თანა მემამულეების სული, გაგეღვიძებიათ მოქალაქობრივი უფლებანი და დამოკიდებულებანი; გაგევრცელებინათ კაცობრივი ღირსების აზრი; შთაგეგონებინათ გრძნობანი: სამართლიანობისა, ძმობისა, რომელიც უკანასკნელი მეცადინეობაა განათლებისა და რომელსაც ქრისტეს სჯულიც გიბრძანებდათ!

თქვენს ხმას, თქვენს გავლენას მრავალი კეთილი ნაყოფის მოტანა შეეძლო ხალხისთვის, მაგრამ ესეთი თქვენ დაივიწყეთ და მით დაემსგავსეთ ტალანტის დამფლველ მონას.

მართალია, ერთ საგანში სახელდობრ ბატონ-ყმობის მოსპობაში თქვენც შეიტანეთ თქვენი მწვლილი, მაგრამ აქ ინიციატივა ისეთის ძლიერის ძელიდგან გამოდიოდა, რომ თქვენდა დაუხმარებლადაც დარწმუნდით, ადვილად გადაწყდებოდა საქმე, დახმარება, ახსნა, შეგონება იმისა სჭირიან, რასაც არავინ იღებს თავის თავზედ, რაც მიყრუებული და მოძულებულია!

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

---

ფოთი, 12 ივნისს, 1874 წ.

ფოთის პოლიცმეისტერმა, უ. ლაზარევიჩმა მოუწოდა მრთელი ფოთის საზოგადოებას პირველი გილდიის ვაჭრის სმირნოვის სახლში, შესახებ რკინის ხიდის გაკეთებისა რიონზედ.

გარემოება ამა საქმისა არის შემდგომი: 1869 წელსა ფოთის საზოგადოებას მოსვლია აზრი, რომ უსათუოდ ქალაქი ფოთი უნდა შეერთდეს რკინის გზასო. ეს აზრი შესრულდებოდა მაშინ, როდესაც რიონზედ რკინის ხიდი გაკეთდებოდა, რომლისათვის, მაშინდელი ანგარიშით, საჭირო იყო სამოცი ათასი მანეთი; მაგრამ ქალაქს არ ჰქონდა ისეთი წყაროები, რომლიდგანაც შემოსულიყო ეს ჯამი ხიდისთვის და ამის მიზეზის გამო საზოგადოებამ განაჩინა: „ფოთის საზოგადოება მოვალე არის ყოველ „წლივ გადიხადოს სამ-სამი ათასი მანეთი „ხიდის გაკეთებისათვის, სანამდის დანიშნული „დრო გადასახადისა არ გათავდება“. — ეს საზოგადო განჩინება ფოთის პოლიცმეისტერმან წარადგინა ქუთაისის გუბერნსკის სასამართლოში განსახილველად, და სასამართლომ, განხილვის შემდეგ, დაამტკიცა ეს განჩინება. — ზემო ხსენებული განჩინება, რომელიმე მიზეზისაგამო, დღემდის არ იყო სისრულეში მოყვანილი; დღეს კი უსათუოდ სურდა პოლიცმეისტერს სისრულეში მოეყვანა საზოგადო განჩინება, რაისათვის მოუწოდა მრთელი ფოთის საზოგადოებას, როგორც ზევით ვსთქვი, სმირნოვის სახლში.

აქ უ. პოლიცმეისტერმა წაიკითხა ქუთაისის ღუბერნსკის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოხსენებულის საქმის თაობაზედ, ბოლოს დროს დასძინა, რომ ნამდვილი ფოთის საზოგადოების განჩინება საქმეში ჯერ-ჯერობით ვერ მოიძიეს და საზოგადოება თანხმდება, თუ არა, უმისოდ თვისი განჩინება სისრულეში მოიყვანოს, (დადგენილი 1869 წელში). — ამ საგანზედ ხუთი პირნი გამოჩნდნენ წინააღმდეგნი პოლიცმეისტრის აზრისა ამაზედ პოლიცმეისტერმა უ. ლაზარევიჩმა ბრძანა კენჭის ყრა უნდა იქმნესო, რადგანაც მესამედი ნაწილი ფოთის საზოგადოებისა თხოულობს, რომ უსათუოდ ნამდვილი საზოგადო განჩინება უნდა იქმნეს წაკითხული საზოგადოების წინაშეო. მაგრამ კენჭის ყრა არ მოხდა, რადგანაც ხუთთა პირთა, რომელიც წინააღმდეგი გახდა პოლიცმეისტრის აზრისა, შეაგონეს მრთელი საზოგადოება და მათ ითხოვეს ნამდვილი განჩინების წაკითხვა მათ წინაშე; წინააღმდეგ შემთხვევაში უარი სთქვეს ზემოხსენებული განჩინების სისრულეში მოყვანაზედ. ამის მიზეზისგამო ამ საქმის განხილვა გადიდვა შემდგომი დროისათვის და მაშინ, როგორც გათავდება ეს დაწყებული საქმე, უსათუოდ შეგატყობინებთ.

ფოთელი მოამბე.

---

ქ. ქუთაისი, 22 ივნისს 1874 წ.

მსურს, „დროების“ მკითხველებს რამდენიმე წვრილი ამბავი ვაცნობო. ეს ამბები შეიძლება განცალკევებული იყვნენ პირველის შეხედვით, როგორც განცალკევებული, დაწყვეტილი და უერთოა აქაური საზოგადოების ცხოვრება. ნამდვილად კი ამ ამბებსა, როგორც ნამყოფს იმ ნიადაგისას, რომელიც ერთის მიზეზით დაგლეჯილა, მგონი, კი ექნესთ ერთი საზოგადო ჰაზრი. რასაკვირველია, რამოდენიმე ამბავი ვერ გამოგვიხატავს სრულიად აქაურ დახვრეტილს და ათას ნაირად დაწყლულებულს ცხოვრებას, მაგრამ ჯერ ეს იყოს და შემდეგში სხვა იქნება.

ა. „დამწვარს მდუღარე დაესხაო“ ხომ გაგიგონიათ? მართალია: ქართველურ-ურულ-დამტვრეულ ადვოკატობისაგან შეწუხებას რუსეთულ-ურული ადვოკატობაც ხელის მოწყობას უპირებს: აფიშა გვაცხადებს, რომ ოდესიდგან ურია ადვოკატები მოსულან.

ბ. საკვირველი ქალაქი კი ყოფილა ეგ ქუთაისი! რასაც კი აქაური ცხოვრება შეეხება, სრულიად შესცვლის, დაუკარგავს ყოველს აზრსა. როგორ გგონიათ თქვენ, როგორ ესმისთ აქ, რა არის ნიჰილისტობა? აქაური აზრით ნიჰილისტობის ნიშანი აი რა არის: „ვეჩერებზე“ ათას ნაირი ხელთათმანების ცვეთა, ტანცი-მანცი, ეგრეთ წოდებული „კატაობა“ ცხენითა და ფაიტონით, ერთის სიტყვით „კარგი კავალერობა“. ამ ნაირად, თუმც არ გნებავსთ დევნულ იქმნეთ, თავი დაანებეთ ამნაირ ნიჰილისტობასა. ეგრე გაუგიათ აქ ნიჰილიზმი. ამ ნაირათ გაუგიათ აქ „პატრიოტიზმი“, მატერიალიზმი“, „დარვინიზმი“ და სხვა ათასნაირი „იზმები“. „შენ ხომ მატერიისაგან შესდგები? მატერია ხომ მუდამ მოძრაობაშია? შესდგება რაიმე სხეული მატერიისაგან, იცოცხლებს და მერმე დაინგრევა, განიხრწნება? მაშ რაღათ მელაპარაკები შენ მე ზნეობაზე, ძმობაზე, ერთობაზე? რათ

---

1, მღვდელი, 4, სოფლის შკოლის მასწავლებელი, 5, მწერალი, 6 ჩაფარი, 7 ცხენების ქირა. (ეხლა რაჭაში, თუ სხვაგან არა, სოფლის ხარჯით არის დაყენებული ცხენები ყოველს სამამასახლისოში. თუ ვისმეს ჩინოვნიკს დასჭირდა ცხენები, მაშინ შეკაზმულს მიართმევენ და ერთი სამამასახლისოდამ მეორე სამამასახლისომდის გაატარებენ) — 8 მევალეები, 9 გლახაკი, 10 თავის ოჯახი, 11 გზის გაკეთება და სხვა და სხვა და სხვა. გლეხი კაცები (რაჭაში) ახალ-წელიწადს მოკიდებულს ჯირკს ნუღარ შეუჩიჩხურებენ, თორემ, ხომ იციან რომ გოჭ-ქათმის მაგივრად მევალეები უფრო უმრავლდებათ.

×

ერთს გაზეთში წავიკითხე, რომ ევროპაში, სადღაც ქალაქში, თუთი ყუშებს ოპერის გალობა უსწავლიათო. გასაკვირველია, რასაკვირველია, მაგრამ ეგების ჩვენი ქუთაისის ბულვარის თუთი-ყუშებმაც ისწავლონ მუზიკის ხმა. მე მგონია ჩვენი თუთი-ყუშებით უფრო გაიკვირვებენ.

×

ნეტაი ზოგიერთი წიგნების გამომცემლები ხომ არ გვატყუებენ მშრალათ? მოსკოვში დაბადებულა ერთი უზარმაზარი წიგნი: „Пантеонъ наукъ.“ ბევრი ალიაქოთი იყო ამ წიგნის დაბადებაზე. წიგნის გამომცემი (უკაცრავათ, რომ სახელი აღარ მახსოვს მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ რუსული გაზეთში, „Рускій Міръ,“ იყო გამოცხადებული) ამას ამბობს, რომ ვისაც შეძლება არა აქვს საშუალო ან უმაღლესი სასწავლებელი გაათავოს და თავი გაინათლოსო, იმას ურჩევ ეს ჩემი წიგნი იყიდოსო. სისხლი ამიდუღდა, სანამ ამ წიგნს გამოვიწერდი. ფასი, მაინცა და მაინც ძალიან ძვირი არ არის — ხუთი მანეთია. როგორც იყო, მივიღე. ჩავხედე, სულ ქტოსავით არის ჩაყრილი ყველა საგნები როგორც საშუალს სასწავლებლის, აგრეთვე უმაღლესისაც. ძალიან მალე ისწავლის კაცი ყველა ნაუკებს. წარმოიდგინეთ, ასტრონომიას ხუთ დღეს ისწავლით. ნეტა ასტრონომიის იარაღები მომცა! დავაკვირდებოდი ვენერას, რომელიც ამ წლის 8 სეკტემბერს მზის პირზედ გადაივლის. ვისაც ნებავდეს ეს წიგნი, იაფათ მიირთვით (2 მანეთი და 50 კაპეიკი), მე გათავებული მაქვს ყველა საგნები ამ წიგნის წყალობით.

×

ახალ შემოსულ კიტრს ვერ იყიდის ერთი კასსა, რომელზედაც გაზეთებში ბაგა-ბუგი და ვაი-უშველებელია ატეხილი.

×

იმდენ წელიწადს არა მეტკინა რა, რამდენი ყმაწვილი ქართველი იდიოტთაგანი იმას ნატრობდეს, ნეტა „დროებაში“, ან „კრებულში“ რამე ჩამაწერია და ბოლოს სახელი და გვარი გამომაცხადებიაო. მაგრამ ისე კი არ მოუვიდეს, როგორც მაგალითებ... მაგ ... მაგ.... თუნდა როგორც ე. მჭედლიძეს თავის კორრესპონდენციის წყალობით. პასუხი დაუწერა ანთიმოზმა, მაგრამ უარესსაც ელოდეს.

×

ზოგიერთი ქართველები ამ ანდაზის აზრზე დაიარებიან: „ურიის პური რომ სჭამო, ურიის რხმალი მოიქნიეო.“

×

ტყუილა მჭამელების სადღეგრძელო სულ ამ ნაირია: „ღმერთმან აღლეგრძელოს ისა, ვისიც გული გულთან იყოს, უყვარდეს და აქ არ იყოს!“

შრომის მოყვარე გლეხების — ეს: „ღმერთმა, აღლეგრძელოს ცის ნამი და დედა-მიწის მოსავალი!“

×

ერთ სასაფლაოზე მკვდარი გლეხი კაცის გოგრა ვნახე და იმაზე ეწერა ეს ლექსი:

„ჩვენ ვიცოდეთ, სხვამ არა: „შუბლზე
ოფლის კამარა“.
ვაწერია გლეხებს შუბლზე კიდევ „ბრმობა“, „თავით დახრა“?
მაგრამ ეს ჩვენი ბედი, მწარე მწველი
აბედი,
უველამ იცის... და მოგვდის ხშირად სუსტი იმედი.
მაშ ვიცხოვროთ ამ ბედით? უქმჭამლებს
ვერ ავსცდებით!
ფართო მართლის გზაზე თუ არ, ვიწროზე
დავადგებით“ და სხვა.

ვ. ჩორჯელი.

ქ: ქუთაისი, 18 ივნისს 1874 წ.

---

უნდა დავეხმარო საწყალს, გაჭირვებულს, ხომ უნდა მოკვდეს, ხომ უნდა განიხრწნას და სულ ერთი არ არი? მერმეთ კიდევ დარვინი ამბობს, ცხოვრებაში, პირუტყვების ცხოვრებაში, ნიადაგი ბრძოლაა არსებობისათვის ერთი უნდა მომძლავრდეს, მეორე უნდა დასუსტდეს, უნდა მოკვდეს. ეს კანონია. აბა ბუნების კანონს მე რა ვუყოო?“ მჯერა, მჯერა ჩემო მოსაუბრე, შენ დარვინით დამიმტკიცე, ვინც ჰყოფილხარ და სისულელე არ იქნება განა, რომ მე შენ აწიზნეობაზე, კაცობრიულ რაიმე გრძნობაზე, ძმობაზე და სხვ. და სხვ. ლაპარაკი დაგიწყო და მოგთხოვო ესეები? ყოჩაღ ბიჭო, ყოჩაღ! კარგი დასკვნის გამოყვანა ვცოდნია, კარგათ გაგიგია, რას ლაპარაკობ!

გ. ბიბლიოთეკა ჩვენი ერთს მეტამორფოზას მიეცა ეხლა. სხვა უკეთეს ადგილსა და უკეთეს სახლში გადიტანეს. ამის შემდეგ დიდ გონებით მოძრაობას მოველით. ქუთაისი ყოველი ფერს შეცვლისმეთქი, ხომ გითხარით! აქ ბიბლიოთეკა მისთვისა არის, რომ ცარიელ იქნეს, კაცი შიგ არ შედიოდეს, გავუაროთ ხანდისხან გვერდით და შევხედოთ. მიზეზი, როგორც ისმის, ის იყო, რომ მაღალი და ნამეტნავად დაკიდებული კიბე ჰქონდაო. მიკვირს ამ ჩვენ მატერიალისტებს და მატერიალისტკებს როგორ არ ცოდნიათ ფიზიოლოგიური კანონი. ბაძლომის შემდეგ სულ ერთ ადგილს გდება ავნებს კაცს და ამ კიბეზე ასვლა ცოტას შეუმჩატებდათ სიმძიმეს.... მაგრამ, ჰო, დამავიწყდა, კიბე ვიწრო არის, ერთ ალაბ ნახევარი განით, აბა როგორ ივარგებდა მათთვის. ამ მიზეზს, მგონია, ზოგიერთი ახალგაზდა (ხნოვანობით) ქალები უფრო ხშირად ამბობდენ. მაგრამ ამ დალოცვილებს სურამის ქედზე გადასვლა თუ არ უჭირსთ ამ კიბეზე შესვლა რააო! მაგრამ კიდევ არ დამავიწყდა! დასწყევლოს ეშმაკმა! იქ ბატონო პირველი კლასით გადიარდენ მჯდომარე ანუ მწოლარე კრაოტსა ზედა.

დ. ამას წინეთ ერთი ჩქარამავალი (скороходъ) ჩამოვიდა აქ, რომელმაც გამოაცხადა: ხუთ ვერსტს (როგორც მახსოვს) გავრბივარ თხუთმეტ მინუტს და მიყურეთო. ნეტავი გენახათ, როგორ მოგროვდა აქაური საზოგადოება, ბულვარში ტევა აღარ იყო. (ის კაცი ბულვარის გარშემო დარბოდა) მერმე იმ კაცმა шаръ-ი აუშვა. ვითომ რაო? ასე ადის ჰაეროსტატი ჰაერში და მაზედ კაცებიო თუ? ეს ჩვენთვის რათ ვარგა? იქ ხომ პირველი კლასი და კრაოტები არ იქნება! ჰაერში კი არა კიბეზე ვერ ავსულვართ--ეს უნდა მიილოს კაცმა მხედველობაში.

ქუთაისის მოამბე.

# რუსეთი

— მკითხველებმა იციან, რომ მედიკურ-ხირურგიულ აკადემიაში ქალებისათვის ლექციების კითხვა იყო გამართული. ეხლა ეკზამენები ჰქონიათ მეორე კურსის ლექციების მსმენელ ქალებს და სამოცდა თოთხმეტისაგან სამოცდა სამი შემდეგ კურსში გადასულა, დანარჩენი თერთმეტი სხვა და სხვა მიზეზისა გამო ეკზამენზედ არ დასწრებია. ეკზამენებზედ ქალებს საფუძვლიანი სწავლა გამოუჩენიათ. ერთი პროფესსორი არ დარჩენილა თურმე, რომ იმათ სწავლაში წარმატებაზედ დიდი კმაყოფილება არ გამოეცხადებინოს.

— როგორც იცით. რუსეთში ძველათგან დაწესებულია, რომ სანამ მღვდლობის მოსურნე მთავარ დიაკვნად ეკურთხებოდეს ცოლი უნდა შეირთოს და თუ მღვდელი დაქვრივდა და ეპისკოპოსობა მოინდომა, ბერობის აღთქმა უნდა დასდვას. გაზეთები გვატყობინებენ, რომ სასულიერო მთავრობა ამ კანონის შეცვლას ჰფიქრობსო. იმას უნდაო, ნება მისცეს ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსებს, რომ ვისაც ისინი კეთილზნეობიანათ იცნობენ დაუქორწინებლად აკურთხონ და უცოლო და დაქვრივებულ ორმოც წლოვან მღვდლებს ეპისკოპოსობისათვის ბერობის აღთქმა არ მოეთხოვოს.

— ფოჩტის მთავრობა ჰფიქრობსო, რომ მომავალის წლიდგან საქალაქო ფოჩტით უბრალო წიგნების ტარებას გარდა ფულიანი წიგნების წაღებ-წამოღებაც დააწესოს, მაგრამ იმ პირობით, რომ თითეული წიგნში ას მანეთზედ მეტი არ ჩასდვან. საკვირველი ის არის, რომ სხვა რუსეთის ქალაქებში ფოჩტით ფულებიანი წიგნების ტარებას აწესებენ, ჩვენ დიდ ქალაქში უბრალო წიგნებიც ვერ გაგვიგზავნ-გამოგვიგზავნია

— პეტერბურღში მიუტანიათ ხივის ხანის ტახტი, უბრალო ხის სავარძელი ვერცხლით შეჭედილი.

## ფინლანდია.

„პეტერბურღის უწყებების“ № 162-ნომერში დაბეჭდილია უფ. ვ. ა. კორრესპონდენცია, რომლისაც შინაარსი, ჩვენის აზრით, სახალისო უნდა იყოს, „დროების“ მკითხველებისათვის. თუმცა, მართალი რომ სთქვას კაცმა, ახალი ბევრი არაფერია შიგ.

ფინლანდიაში ორი საზოგადოებრივი პარტია არის. ამ ორი პარტიის მეცადინეობასა და ერთმანეთთან ბრძოლაში გამოიხატება ეხლანდელი ამ ქვეყნის ცხოვრება. ერთი პარტია, რომელსაც სვენომანებს ეძახიან, და რომელსაც თანაუგრძნობს მთელი ადგილობრივი დიდკაცობა და განათლებულთ უმრავლესობა, სცდილობს, რომ თავის სამშობლოში სვედური ენისა და განათლების გავრცელებას ხელი მოუმართოს; ამ პარტიას სურს, რომ დიდის ხნიდგან ფინლანდიაში ძირგასხმული სვედეთის გავლენა არავის მოასპობინოს და კიდევ უფრო განაძლიეროს. მეორე პარტია—ფინომანები—ებრძვის პირველს და მოღვაწეობს სამშობლო ენის გავრცელებისათვის და ყოველივე საზოგადობრივ ასპარეზზედ ფინლანდელების წარმატებას სცდილობს. ამ პარტიის მომხრეა მთელი ფინლანდიის უბრალო ხალხი და ყველა ნამდვილად მამულის-მოყვარე განათლებული კაცი. ორივე პარტიას თავის გაზეთებში გაცხარებული ბაასი აქვთ გამართული. ამ ბოლოს დროს ფინომანებს უფრო წარმატება მიეცათ. ამ პარტიის მოქმედება სწორედ პატივის და თანაგრძნობის ღირსია, ამიტომ რომ თავის მიზნისადმი მსვლელობაში იმას ისეთი დაბრკოლება ხვდება, რომ უძლიერესს და უმრავლესს პარტიასაც ფეხს წაამტვრევინებდა.

სხვათა შორის ერთი კარგი საქმე მოახერხეს ფინემანებმა. ორი თუ სამი წელიწადია იმათ შეადგინეს ფინნური დრამის ტრუპპა და აქა-იქ ფინლანდიის ქალაქებში სპეკტაკლები გამართეს. ეხლა კიდევ ოპერის ტრუპპა დააფუძნეს და დიდმარხვაში სამი ოპერა ითამაშეს· „ტრუბადური“, „ლუჩია“ და „ფრა-დიაველო“; პირველი ათჯერ წარმოადგინეს, მეორე და მესამე ხუთ-ხუთჯერ და ყოველთვის თეატრი მაყურებლებით სავსე იყო. „ტრუბადურის“ წარმოდგენით 10,000 მარკა აიღეს. ეს ძლიერ ბევრია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სვედური თეატრი თავის აქციონერებს დიდ ზარალს აძლევს. ამ გვარმა ადგილობრივის თეატრის წარმატებამ ძლიერ წაახალისა თეატრის მოთავეები და ფინლანდიის სენატისაგან ითხოვეს და კიდეც მიიღეს შესაწევარი 16 ათასი მარკა ყოველწლივ ხუთი წლის განმავალობაში.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

„უბედურების დროს ‚გამორჩეულმა“ საფრანგეთის ნაციონალურმა კრებამ ყველა მონარხიული კომბინაციები გასინჯა თითოეულად, მაგრამ საფრანგეთის ტახტზედ მეფის დასმა მაინც ვერ შესძლო.

რომელიმე წინადადება რომ მიღებული შეიქნეს კრებაში საჭიროა, ნახევარზედ ერთი კენჭი მაინც მეტი იყოს. და 700 დეპუტატში 351 კენჭი ერთი რომელიმე კანდიდატისთვის არასოდეს არ შედგებოდა. ლეგიტიმისტებს, ორლეანელებს და ბონაპარტელებს, რომლიდგანაც არის შემდგარი მონარხიული უმრავლესობა კრებაში, ყველას ამათგანს თავის ბატონის ტახტზედ აყვანა სურდა. ერთი მონარხიული პარტია რომ ცვლილების მოხდენას განიზრახავდა, დანარჩენი ორი მონარხიელივე გროვა და მთელი რესპუბლიკელი მხარე წინააღმდეგი გაუხდებოდა. ამისათვის ვერსალის მონარხიელების მეცადინეობამ, მათმა ბაქმა, მათმა უსამართლო და უსინიდისო მოქმედებამ უბრალოთ ჩაიარა.

საკვირველი ეს არის, რომ ამ საპატიო ხალხმა ქვეყანაც მოიმდურა, უნიჭობის და სისუსტის სახელი დაიგდო მთელს ცასქვეშეთში და ვერც ვერაფერი გაარიგა თავის განზრახვისთვის.

თუმცა ხალხს სრულიად არ მიუიცა უფლება, რომ ახალი კანონები გამოსცენ მათ, რომ განთავისუფლებული საფრანგეთი ხელახლავ შამბორის, ან ნაპოლეონის მონად გადააქციონ, მაგრამ ამას ისინი როდი დასდევენ!

უკანასკნელი კონვულსიები, რომელიც გამოაჩნდა ვერსალის კრებას, ლაროშფუკოს წინადადების დროს იყო. ეს დარწმუნებული მონარხიელი, რომელიც საფრანგეთის ელჩათ იყო ამ დროს ინგლისში, სთხოულობდა თავის პარტიის მაგიერ, რომ შამბორი ეცნო კრებას საფრანგეთის კანონიერ მეფეთ. მაგრამ ელჩის წინადადებამ ღიმილისა და სიცილის მეტი ვერა მოახდინა რა. პალატამ უარი უყო ლეგიტიმისტებს. ამ კენჭის ყრამ გამოაჩინა როგორი თანხმობაც ჰქონიათ მონარხიელებს. მაგრამ ლეგიტიმისტები კიდევ აპირებენ ერთხელ თურმე მზგავსი წინადადების შეტანას კრებაში. იმათ რომ ქართული ანდაზა: „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირათ,“ სცოდნოდათ, ასე არ გააიაფებდნენ თავის სასასოებელს საგანს.

ეხლა ყველა დარწმუნებულია, რომ ვერსალის კრებას არას გზით არ შეუძლიან მონარხიის აღდგენა.

ისეთი ნიჭიერი და თავგანწირული მონარხიელი, როგორც ოდიფრე არის, ისეც კი გადუდგა მონარხიელებს თავის კარგძალი პარტიით. იმ კენჭის ყრის დროს, როდესაც ტიერის ნამინისტრალმა კაზიმირ პერრიემ მოითხოვა, საფრანგეთის მართველობის ფორმა დღეის შემდეგ რესპუბლიკური უნდა იქნესო, ოდიფრე განზეგ არ დასწრებია, რომ ამითი რესპუბლიკელების გამარჯვება გაედვილებინა. და მართლაც პერრიეს წინადადება კრებამ მიიღო 4 ხმის უმეტესობით.

ამ კენჭის ყრაში არ მიუღიათ მონაწილეობა ლუი-ბლანს, ლედრუ-როლლენს, ნაკეს, კაზოს, მარტან ბერნარს და კიდევ რამდენიმე სოციალისტს, რომელნიც არ სცნობილობენ ეხლანდელი კრების კანონმდებელ უფლებას. მაგრამ გამარჯვება მაინც რესპუბლიკისაკენ დარჩა და ეს ამით არის ნამეტურ საყურადღებო, რომ ამ შემთხვევაში ინიციტივა გამოდიოდა ისე ზომიერი და მხდალი პარტიისაგან, როგორიც არის მარცხენა ცენტრი, ე. ი. ტიერის და იმის მსგავსი კაცები.

მარცხენა მხარე კიდევ უფრო გაბედული ნაბიჯის გადადგმას აპირებს თურმე: ის ამბობს, თუ კრებამ არ იცნო მეორე კენჭის ყრის დროს რესპუბლიკის დაარსების საჭიროება, მაშინ ჩვენ მოვითხოვთ, რომ პალატა დაიშალოს და თავისი ადგილი ხელახლად ამორჩეულს ხალხისაგან სხვა კრებას დაუთმოს. საგულისხმოა ამ წინადადებას ბონაპარტელებიც მიეკედლებიან, რადგანაც იმათაც ახალი კენჭის ყრისაგან აქვსთ იმედი, თორემ ოცდა ათიოდე ბონაპარტელი დეპუტატი რას გაარიგებდა ეხლანდელ პალატაში.

რეაკციონური ნაციონალური კრება ძალიან სცდილობს, რომ მეკენჭეების რიცხვი რაც შეიძლება შეამოკლოს და უპირატესობა შემძლებელ ხალხს მისცეს, მუშები კი გადატოვოს, მაგრამ რაც დიდი მეცადინეობა არ დასდევან, შემდეგს პალატაში უპირატესს პარტიად უთუოდ რესპუბლიკელები იქნებიან ამისთვის არის, რომ მონარხიელებს ეშინიანთ ხალხისა, თორემ ამდენს ჯიუტობას რათ გამოიჩენდენ! მაგრამ იმათ კარგათ იციან, რომ ეს უკანასკნელად არიან ისინი საფრანგეთის მმართველად და ხალხი არას დროს აღარ დაენდობა იმას, ვინც ავიწროებს მის თავისუფლებას.

ამ დღეებში პარიჟში გარდაიცვალა ერთობ სახელი განთქმული, „კრიტიკის თავადი“—როგორც თითონ უწოდა თავის თავს—ჟულ-ჟანენ.

ჟანენს გასაოცარი სუბუქი და მახვილი კალამი ჰქონდა; ის ორმოც წელიწადს უპირატეს ადგილს იჭერდა ფელტონისტების დასში და მის ნაწერს ყოველთვის მოუთმენლად ელოდენ მარტო „Journal des Debats“-ს მკითხველები კი არა, სადაც ის თანაშრომელობდა, არამედ მთელი ლიტერატურა.

ჟანენის სიკვდილით ერთი კაცი კიდევ გამოაკლდა შესანიშნავს 1830 წლის თაობის მწერლებს.

ჟანენის დასაფლავებაზედ ბევრი გამოჩენილი კაცი დასწრებია. სხვათა შორის ყოფილან ვიქტორ ჰუგო, დიუმა, ლუი ბლანი და სხვ.

## ესპანია.

ესპანიაში სულ ისევ დაუბოლოებელი ომია კარლისტებსა და რესპუბლიკელებშუა. ამას წინათ კონჩას, რომელიც სარდლათ იყო რესპუბლიკელი ჯარისა, საშინლათ გაებერტყა დონ კარლოსი. კონჩას სულ კუდით ქვის სროლით ედევნა მტერი. მაგრამ „კავკაზი“ ერთბაშათ გვაცნობებს, რომ ეს ნიჭიერი სარდალი მოუკლავთ. კონჩა პოლშელი პატრიოტი იყო.

## განთავისუფლებული როშფორი.

როშფორი ეხლა თავისუფალია და ბრუსელში კიდევაც გამოსულა მისი „ფარნის“ პირველი ნომერი. სახელგანთქმული მეპამფლეტე შვეიცარიაში აპირებს თურმე დაბინადრებას და აქედგან ფიქრობს მიმართოს თავის მომაკვდინებელი სიმახვილისა და გესლის ისრები ეხლანდელ საფრანგეთის მართებლობას და მონარხიულ პარტიებს.

პირველი წიგნი „ფარნისა“ დაბეჭდილა ასი ათას ეკზემპლერათ და იმწამსვე დაიტაცეს თურმე. როშფორი შერიგებია ერთ ინგლისელ მესტამბეს, რომელსაც მიუცია მისთვის ოთხასი ათასი ფრანკი „ფარნის“ გამოსაცემად. ამბობენ, რომ საშინლად შეშფოთებულან საფრანგეთის ულტრა კონსერვატორები, „წესიერების დამცველი“ პარტია და ყველა ისინი ვინც წინააღმდეგი ყოფილა და არის ხალხის თავისუფლებისა, რესპუბლიკელი წყობილებისა.

როშფორი „ფარნის“ პირველ წიგნში ამბობს ტყვეების გადაყვანაზედ კალედონიაში იქაურ მართებლობაზედ საშინელს და თითქმის დაუჯერებელ ბარბაროსობას. თავის გამოქცევაზედ ის სწერს: „მე წარმომიდგა შემთხვევა თავის შველისა და გამოვიქეცი. სასაცილოც იქნებოდა, რომ სხვა ნაირ მოვქცეულიყავ.

წარმოუდგენელია კაცმა სამარე თვითონვე გაითხაროს, მაშინ როდესაც იმას წარსულიც აქვს და გასაოცარად მიელტვის მომავალისაკენ, თუ გინდ ეს მომავალი ხან მოკლე და მოსალანდებელიც იქნეს. თუ რომ თქვენ ოდესმე ყოფილხართ ხალხისაგან თაყვანის-ცემული, თუ რომ თქვენ ერთ დღეს, ერთს საათს, ერთს წამს მაინც ბრძანებელად ყოფილხართ იმ ოკეანისა, რომელსაც ეწოდება თემი, თუ თქვენს აზრს, სიტყვას ელვასავით შემოურბენია ხალხში და აუღელვებია ის; თუ თქვენ დაგივიწყებიათ საკუთარი პირადობა, და მეფისტოფელად გადაქცეულხართ, რომელსაც გიცხოვრნიათ პოლიტიკური მოვლინებით, მაშინ თქვენ გაიგებთ რა ძნელი იქნებოდა ჩემთვის ის გიჟური გამბედაობა,—რომელმანაც თავი დამახწევინა.“

როშფორი და ორიოდე იმის ამხანაგები ყვინთით წასულან კუნძულიდგან, სადაც ისინი ტუსაღათ იყვნენ, პატარა ნავისაკენ რომელიც მათ ერთ ადგილს უცდიდა. ცურვის დროს წყლის ქვეშ როშფორს გვერდები დაეჩეხა წყალში ამოსულ მჭრელ ქვებით. ამას გარდა თურმე ეს წყალი სავსეა ვეშაპებით, რომელთაც ადვილად შეუძლიან კაცის გადაყლაპა მთელად, მაგრამ ვერაფერმა ვერ შეაჩერა გამბედავი როშფორის ენერგია. ის უბევნელად ჩაჯდა ნავში და მიმართა ხომალდს, რომელსაც უნდა გაეყვანა ზღვაში; მაგრამ გზაში მთვრალი სალდათებით სავსე ხომალდი შემოხვდა, რომელშიაც კუნძულის დარაჯები იყვნენ და იცნობოდენ როშფორს. საქმე დაღუპულად სჩნდა ერთ წამს. მაგრამ როშფორის გასაოცარ გამბედაობამ აქაც გადაარჩინა გაქცეულები. როშფორმა უთხრა მენიჩბეს, რომ მიმართოს ნავი პირდაპირ ხომალდისაკენ, სადაც სალდათები იყვნენ. და

მართლაც, როდესაც ჯარმა შეხედა, რომ ნავი მათზედ მოდის, განიზრახეს ეს ჩვენი უფროსი უნდა იყოსო, და ხომალდს სხვა მიმართულება მისცეს, რომ ვერავინ იმათგანი ვერ გამოეცნო ვითომ მათ უფროსს. ამ სითამამით გადაარჩინა როშფორი და ბედნიერად მიაღწია ინგლისელ ხომალდამდის, რომელმანც ის გადაიყვანა ამერიკაში.

საფრანგეთის მართებლობა საშინლად გაბრაზებულია და მასთან დარცხვენილიც, რომ ერთი კაცი ვერ დაამწყვდიეს ისე, რომ არ გაქცეულიყო. ამ მართებლობითს თავის მოყვარეობას ის გარემოებაც ემატება, რომ როშფორის მახვილ კალამს ათიოდე სიტყვით შეუძლია აღმოუხოცელი სამარცხვინოების და მასხარობის დაღი დაასვას ყოველს ბოროტს და ხალხის შემავიწროებელს კაცს.

მონარხიელი გაზეთი Figaro სწერს: „როშფორის ნიჭი ძალიან კმარა, რომ ყოველ მართებლობას ძირი მოუთხაროსო".

პირველ ნომერში როშფორი ზოგიერთი ეხლანდელი საფრანგეთის მართებლობის პირების პორტრეთსა ხატავს კალმით. მაკ-მაჰონს, მის მინისტერს სისესა და გადამდგარს ბროლის გვარიან კარგი ძალი გესლი და დაცინება რგებიათ როშფორისაგან. ერთი ამისთანა მახვილობა კმარა, ამბობენ გაზეთები, რომ ბ-ტონი მარშალი თავის ამალითურთ საყოველთაო მასხარობის და სიცილის საგნათ შეიქნენო".

## პატარა არეულობა.

იქნება დასწრებიხართ როდესმე თათრის მაედანზედ ხანდისხან ყიზილბაშებსა და სომხებს შუა ან ქუთაისის ბაზარში რუსის სალდათსა და იმერელ გლეხს შუა ჩხუბი რომ მოხდება ხოლმე? მე ხშირად მინახავს ეს სურათი: ცოტა რამე მიზეზი საკმაოა, რომ მოწინააღმდეგენი ორ პარტიათ გაიყონ; ჯერ ერთმანერთს დასცინიან, მერე შეუკურთხებენ ისე, როგორც მხოლოდ თფილისში იციან და შემდგომ ერთი უბრალო ხელის ხლება საკმაოა, რომ ამ ორ უიმისოთაც ერთმანეთზე გაბრაზებულ მხარეს შუა მუშტი-კრივი გაიმართოს. მაშინ შეიქნება სეირი და არეულობა; ქუჩის ბიჭებისა და ხალხისათვის ამნაირი სურათი აღდგომაა; და სანამ ერთი მხარე მეორეს კარგა არ გააბრუებს, ან სანამ ორივეს მოთავეებს პოლიციაში არ წაათრევენ, მანამ არ დაწყნარდებიან. კავკასიელ კაცს მუშტი-კრივი უყვარს...

×

მაგრამ როგორც ვხედავ, ქართველზე ნაკლებათ ეს არც პარიჟელებს ჰყვარებიათ. განსხვავება მხოლოდ ის არის, ჩვენებურ მუშტი-კრივზე კაცი არ ლაპარაკობს და აქაურზე როგორც ყველაფერზე, რაც საფრანგეთს შეეხება, ეხლა, მგონია, მთელი დედამიწა სჯის. რასაკვირველია, ტელეგრამმა შეგატყობინებდათ იმ პატარა არეულობის ამბავს, რომელიც წასულ კვირის განმავალობაში მოხდა აქ.

თავი მიზეზი ამ ბონაპარტელების და რესპუბლიკელების შუა ქუჩაზე შეტაკებისა შორს არის: უკანასკნელი, ახლო მიზეზი ის არის, რომ წასულ სამშაბათს გამბეტტამ კარგა ლაზათიანად შეუკურთხა ბონაპარტელებს კრებაში. მეორე დღეს მთელს პარიჟში და საფრანგეთში ელვასავით გაისმა ეს სიტყვა „Les miserables" (საბრალონი), რომლითაც გაბრაზებულმა გამბეტტამ პირში ახალა რუერსა და იმის პარტიას.

×

ამ დღიდამ დაწყებული გამბეტტას მოსვენება არ ჰქონია: ბონაპარტელი პარტიის მოთავეები ნიადაგ ეძებდნენ შემთხვევას, რომ რაიმე შეურაცხყოფა მიეყენებიათ იმისთვის და მოთმინებიდამ გამოეყვანათ. ორი-სამი იმათგან მოყიდული კაცი მივიდა იმასთან იმდროს, როდესაც სან-ლაზარის რკინის გზის სტანციაში იყო ვერსალში წასასვლელად და შეურაცხყოფა მიაყენეს. ერთი ვილაც შინ მიუგზავნეს და დუელში გამოითხოვეს; მაგრამ გამბეტტამ უპასუხა თურმე, როგორც ამბობენ, ამ კაცს, რომ „გარეთ გადი, თორემ პოლიციაში წავათრევინებ ეხლავ შენ თავსაო". ნაშუადღევს პირველ საათზე და ოცდა ხუთ მინუტზე, როდესაც დეპუტატები მიდიან ხოლმე ვერსალის კრებაზე და საღამოს 6—8 საათამდი, როდესაც კრებიდამ, ბრუნდებიან, სან-ლაზარის სტანცია და იმის ახლო-მახლო ქუჩები ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს ხალხით იყო დატენილი და ყოველ წამს არეულობას მოელოდნენ.

×

ბოლოს ოთხშაბათს ამ რკინის გზის სტანციაზე პატარა მუშტი-კრივი გაიმართა. როდესაც გამბეტტამ გაიარა ერთ დიდ ზალაში ვაგონში ჩასასხდომად, ხალხმა ერთ ხმით დაიყვირა: „გაუმარჯოს გამბეტტას! გაუმარჯოს რესპუბლიკას!" მოწინააღმდეგებმა (ბონაპარტელებმა) ვერ მოითმინეს და თავის მხრით დაიწყეს გაცხარებით ყვირილი: „არ გვინდა გამბეტტა! ძირს გამბეტტა!" შეიქნა ერთი საშინელი ხრიალი, მიცვივდნენ ერთმანეთს, წაიშიშვლეს მკლავები, ამართეს ჯოხები და ერთი სიტყვით, მოხდა ლაზათიანი ცემა-ტყება. ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობდა, ყველანი ერთმანეთს სცემდა და პოლიცია ყველას. ბოლოს, როგორც იქნა, პოლიციის სერჟანტებმა გააზავეს; მტყუანი და მართალი, მაჩხუბრები და სეირის მაყურებლები ყველანი პოლიციაში წაათრიეს. დაჭრილებში ორი დეპუტატი ერია. ბრძოლის ველზე დარჩა რამდენიმე კოთხო და შემოგლეჯილი სერთუკის კალთა. გამბეტტა და იმის ამხანაგები ამ არეულობას არ დასწრებიან; ისინი ჩაჯდნენ ვაგონში და ვერსალში წავიდნენ.

×

დაჭერილი დეპუტატები პოლიციამ, რასაკვირველია, როგორც იცნო, იმწამსვე განათავისუფლა, რადგან იმათი ხელის ხლება და დაჭერა კანონით არ შეიძლება, თუ ზედ რომელსამე მძიმე დანაშაულობაზე არ წაესწრნენ. ამ დღეს საქმე ამით გათავდა.

პარიჟის გუბერნატორმა იმწამსვე ფიცხელი განკარგულება მოახდინა და სან-ლაზარის კარზე რამდენიმე ასი პოლიციის სერჟანტი და ქვეითი და ცხენოსანი სალდათები დააყენა მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცველად. სტანციის გარშემო ქუჩები ყველა გაკავებული იყო; თვითონ კარში კაცს არ უშვებდნენ, თუ არ იტყოდი—სად და რისთვის მიდიხარ.

×

მეორე დღეს, საღამოს შვიდ საათზე, როდესაც დეპუტატები ვერსალიდან უნდა დაბრუნებულიყვნენ, სტანციაზე და იმის გარშემო ქუჩებში ტევა აღარ იყო. განსაკუთრებით მუშები და სტუდენტები ათასობით იყვნენ ქუჩებში ჩამწკრივებული, თუმცა არც „დარბაისელი" მაყურებლები ჰკლებია. მაგრამ აღელვება და გაგულისება არავის არ აჩნდა, ყველანი მშვიდობიანათ იდგნენ თავისთვის და ვერსალიდამ ეტლის და თან გამბეტტას მოსვლას მოელოდნენ. უეცრად რკინის გზის სტვენა მოისმა, ყველამ გამოცქიტა ყურები; დაიძრნენ; მაგრამ ცხენოსანი და ქვეითი სალდათები ერთი ფეხის წინ წადგმის ნებასაც არ აძლევდნენ.

ამ დროს გამბეტტა, ორდინერი და ორიოდ სხვა დეპუტატი გამოსულიყვნენ რკინის გზის სტანციიდამ და ჩამოდგეს თუ არა კიბეზე ფეხი, ერთი ვილაც კარგათ ჩაცმული კაცი გამოვარდნილიყო ხალხიდამ და პირდაპირ გამბეტტასაკენ გაქანებულიყო. გამბეტტამ და იმის ამხანაგებმა უკან მოხედვა ვერ მოასწრეს. რომ ამ კაცმა მოიქნია მუშტი და ზედ მარჯვენა თვალთან შემოარტყა გამბეტტას, იმ თვალთან, რომელიც ამოთხრილი აქვს (შუშის თვალი). შემდეგ მოუქნია ჯოხი; მაგრამ ამ დროს ორდინერი ეცა და მოქნეული ჯოხის წვერი იმას ერგო ხელზე და პირზე. შეიქნა არეულობა, ყვირილი. დამნაშავეს სტაცეს ხელი სერჟანტებმა და პოლიციაში წაათრიეს.

გუშინ წინ გაასამართლეს ის და სასჯელად ექვსი თვით ციხეში ჩამწყვდევა და 20 ფრანკის გადახდა გადაუწყვიტეს.

×

ამით გათავდა ეს ამბავი. იმწამს, როდესაც გამბეტტას შემოარტყეს, მე იქ არ დავსწრებივარ და ვერ გეტყვით: თუ ან თვითონ გამბეტტაზე და ან ხალხზე რა ზედმოქმედება იქონია ამ მუშტმა. გაზეთები კი ამბობენ, რომ გამბეტტა გასაკვირველს გულ-გრილობით მოიქცაო და ხალხი საშინლად აღელდაო. როგორც ერთი, ისე მეორე მაკვირვებს: ამბობენ, გამბეტტა პოლიტიკური კაციაო, რესპუბლიკური პარტიის შეფი (წინამძღოლი); იმას არა აქვს უფლება თავმოყვარეობა იქონიოსო და ამიტომ კარგათ მოიქცა, რომ ასეთი გულგრილობა გამოიჩინაო. ეს ყველა კარგია, მაგრამ მე არ მესმის როგორ შეიძლება კაცმა თავის კაცობის ღირსება, თავმოყვარეობის გრძნობა ასე დატუქსოს? პოლიტიკური კაცია, კარგი, მაგრამ სანამ პოლიტიკური კაცი იყოს, ის ნამდვილი კაცია. მერე ეს დამცირება განა იმის პოლიტიკურ კაცობას არ ავნებს? ხომ იცოდა, რომ დასდევდნენ,—ერთი რევოლვერი რა გაჭირდა!..

არც ამ გვარი ხალხის აღელვება მესმის: თუ ხალხი მართლა აღელვებულიყო და გაბრაზებული, განა ასე მშვიდობიანად გათავდებოდა ეს ამბავი? თუ ხალხს მართლა თავის საკუთარ შეურაცხყოფად მიეღო გამბეტტას გალახვა, განა გამლახველს არ დაგლეჯდა? მაგრამ საქმეც ის არის, რომ რესპუბლიკელებისა და ბონაპარტელების შეტაკებაში ხალხი ისეთს გულ-მხურვალე მონაწილეობას არ იღებს და მაინცა და მაინც რესპუბლიკელების მხარეს არ იჭერს. რატომ? იმიტომ რომ ეხლანდელი რესპუბლიკელები და ბონაპარტელები—ერთი შუბი და მეორე ზედ წააცვე; ხალხს, ნამდვილ საფრანგეთის ხალხს არც ერთისაგან ჯერ თავის სიკეთე არ უნახავს...

ს. მესხი.

პარიჟი, 9 ივნისს 1874 წ.

## ნარევი

— ერთს ნეაპოლელ პროფესსორს მოუყვანია მეგვიპტიდგან ორი ზანგი ყმაწვილი, ერთი თხუთმეტი წლის არის თურმე და მეორე ცხრა წლის. უფროსი ოცდა ექვსი ვერშოკის სიმაღლე თუ იქნება და უცროსი—ოცდა სამის. პროფესსორი ამბობს, რომ უფროსი ყმაწვილი მეტი აღარ გაიზრდებაო. საკვირველი ის არის, რომ შუაგულ აფრიკაში ამ გვარი პატარა ტანის ხალხი იპოვებაო. კაი ხუმრობაა, თუ ძველი ზღაპარი პიგმეოსებზედ გამართლდა.

— ამ ჟამად ბერლინის ქალაქში მოსულა ერთი იტალიელი აქტიორი, კ. მპო, რომელსაც საჭირო ტრუპპა ვერ შეუდგენია და მარტოს განუზრახავს შექსპირის დრამების წარმოდგენა. როგორც ისმის, ეს აქტიორი მარტო თავის როლს თამაშობს თურმე და სხვა მოქმედი პირები და მათი ლაპარაკი მაყურებელმა თითონ უნდა წარმოიდგინოს თურმე, როცა კ. მპო შეჩერდება. ბერლინის გაზეთები ძალიან აქებენ ამ აქტიორის თამაშს.

— ჩრდილოეთის ამერიკის შტატებში ახალი აღწერით 38 მილლიონი ხალხი მეტი ყოფილა. მთელ რესპუბლიკაში ას ოთხმოცდა ორი ათასი სხვა და სხვა შკოლა ყოფილა, რომელზედაც წელიწადში ოთხმოცდა თექვსმეტი მილლიონი დოლლარი იხარჯება თურმე (სამი დოლლარი ოთხი მანეთია). ამ შკოლებს გარდა რესპუბლიკას აქვს ოთხმოცდა ორი უნივერსიტეტი, ხუთას შვიდი სხვა უმაღლესი სასწავლებელი და ას სამოცდა თხუთმეტი აკადემია განსაკუთრებით ქალებისათვის. ოცდა ექვსი კანონთ-მეცნიერების სასწავლებელი, სამოცდა ექვსი საიქიმო შკოლები და ოთხმოცდა თორმეტი ღვთის-მეტყველების. ათას შვიდასი პუბლიკური ბიბლიოთეკა არის, გაზეთები ექვსი ათასზედ მეტი.

— ერთ რუსულ ჟურნალში საშუალო საუკუნეების გერმანიელ სტუდენტობაზედ და უნივერსიტეტის მასწავლებლებზედ აი რას ამბობენ: უნივერსიტეტის დეკანი აკტის დროს ახლად შესულებს სტუდენტებს სიტყვას ეტყოდა. მერმე მისცემდა მათ მარილსა და თასით ღვინოს, რომელნიც მათის აზრით მახვილ გონიერების და სულის მხნეობის მომამწავებელი იყვნენ. შემდეგ ეგზამენს დაიწყებდ: „მახვილ გონიერების აღაძვრელად" ჯერ ერთს კარგს სილას გაარტყამდა დეკანი სტუდენტს და ჰკითხავდა: დედა გყავს თუ არა? თუ სტუდენტი ეტყოდა, მყავსო, დეკანი ისევ სილას აჭმევდა: არა, შე მხეცო, შენ კი არა გყავს დედა, დედას შენ ჰყავდიო. როგორ ამოდის ოქრო-ცერცვა? თუ სტუდენტი უპასუხებდა, არ ვიციო, დეკანი კიდევ შემოჰკრავდა ყბაში და ეტყოდა: იცოდე, შე მხეცო, რომ ოქრო-ცერცვა რგვლად ამოდისო და სხვ.

სტუდენტობაში ძალიან გავრცელებული იყო მემთვრალეობა. ღვინის სასმელი წესდებაც ჰქონდათ თურმე შედგენილი. ღვინის სმასთან უზომოდ თამბაქოს წევაც იცოდნენ. ვინც ერთი პიკნიკის დროს 50 ჩიბუხს მოსწევდა მაგისტრობას მისცემდნენ, 80 ჩიბუხი ლიცენციატის ხარისხს აძლევდა და 100 ჩიბუხის მომწევი დოკტორობას ეღირსებოდა. მეჭვი არ არის, რომ ამ ნაირს მდგომარეობაში მყოფი სტუდენტობა ხეირიან სწავლაზედ სრულიად არ ჰფიქრობდა და ამიტომაც საშუალო საუკუნეებში გერმანიის უნივერსიტეტები თუმცა მრავალნი იყვნენ, მაგრამ მეცნიერებს ვერ ზრდიდნენ. უნივერსიტეტის კურსისათვის ოთხი თუ ექვსი წლის ვადა იყო დანიშნული, მაგრამ სტუდენტებს უფრო დიდხანს დარჩენაც არ ჰქონდათ აკრძალული. იყვნენ თურმე ისეთი ღვინის წესდების მიმდევნი სტუდენტებიც, რომ 10 და 20 წელი იყვნენ უნივერსიტეტში. ვიტტენბერგის უნივერსიტეტში ერთი პროფესსორის შვილი სტუდენტად ორმოცი წელიწადს იყო. 1638-ში ლეიფციგის ქალაქში მოკვდა ერთი ასის წლის სტუდენტი. ამ კაცს მეთექვსმეტე საუკუნის შუაში დაეწყო სწავლა და 90 წლის განმავალობაში უნივერსიტეტის კურსის გათავებას ვერ მოესწრო.

პროფესსორებიც სწორედ საარაკო ყოფილან მაშინ: ერთი პროფესსორი გასხელბახი 22 წლის განმავალობაში თარგმანით უკითხავდა სტუდენტებს ისაიას საწინასწარმეტყველოს პირველს თავს. მეორე მისმა მოადგილე პროფესსორმა პრემცერმა ოთხ წელიწადს დანიელის საწინასწარმეტყველოზედ 312 ლექცია წაიკითხა. მერმე ისაიას საწინასწარმეტყველოზედ გარდავიდა და 25 წლის განმავალობაში 1509 ლექცია წაიკითხა, შემდეგ შვიდს წელიწადს იერემიას საწინასწარმეტყველოს განმარტებდა. ერთს ექიმს პროფესსორს 13 წელიწადი დავითის ფსალმუნები უკითხავს განმარტებით სტუდენტებისათვის. ერთს ფილოლოგს პროფესსორს შვიდი წელი კვინტილიანის განმარტებაში გაუტარებია და ამას გამო სტუდენტებმა სეპტილიანი დაარქვეს მას.

უფრო ხალისით დადიოდნენ სტუდენტები დისპუტებზედ. ბაასი იმართებოდა ლათინურს, ბერძნულს და ებრაულს ენებზედ. ხშირად ბაასში გაცხარებული მეცნიერები კათედრიდან ჩამოდიოდნენ და საბაასო კითხვას მუშტი-კრივით სწყვეტდნენ თურმე. ორივე მობაასე მხარე საძაგლად აგინებდნენ თურმე ერთმანეთს.


ОБЪЯВЛЕНІЕ.

По случаю отъѣзда моего за границу, кабинетъ (мой) для составленія нотаріальныхъ и дѣловыхъ бумагъ и сообщенія справокъ, въ теченіи сего лѣта до Сентября мѣсяца, пріостанавливаетъ свои дѣйствія.

*Петръ Чареков.*


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Іюня 1874 г.* მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი ა. ლორთქიფანიძე.